# გეოინჟკომპლექსი

დაკვეთა №83/2023

## ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ს/კ 01.14.16.008.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

დირექტორი ზ. კვაჭანტირაძე

თბილისი 2023 წ.


**შპს „გეოინჟკომპლექსი"**
ჟიული შარტავას ქ. №43დ
თბილისი, 0160, საქართველო

**"GEOENGCOMPLEX" LTD**
43d Zhiuli Shartava Str., 0160
Tbilisi, Georgia

Tel. (995 32) 37 62 55 E-mail: geo.logi@yahoo.com

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## I ტექსტური ნაწილი


1. ტექნიკური დავალება ---------- 1
2. მიწერილობა ---------- 2
3. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა ---------- 3


## II ტექსტური ნაწილის დანართები


4. გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები ---------- 12
5. კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები---------- 16
6. წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები და დასკვნა ---------- 19


## III გრაფიკული მასალა


7. ტერიტორიის ტოპოგეგმა ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების დატანით ---------- ფ.1
8. გენგეგმა საპროექტო შენობების, ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების დატანით ---------- ფ.1[1]
9. ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები ---------- ფ. 2 - 5
10. ტერიტორიის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები ---------- ფ. 6 - 16

# ტექნიკური დავალება

- ობიექტის დასახელება: მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი.

- დამკვეთი: შპს „არქტური ლისი“

- ობიექტის მდებარეობა: ქ.თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, ს/კ 01.14.16.008.073

- სამშენებლო მოედანი: 91X165 მ – დასაპროექტებელია 7 ხუთსართულიანი კორპუსი.

- შენობა-ნაგებობის ტიპი: **კარკასულ-ჩარჩოვანი**

- სართულიანობა: **5**

- სარდაფი: 1 დონე

- შენობის კლასი: **IV**

- საძირკვლის სავარაუდო ტიპი: **კომბინირებული**

- საპროექტო დატვირთვა საძირკვლებზე: **0.3 მპა**

- პროექტირების სტადია: **მუშა**

წარმოდგენილი იქნას საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის დოკუმენტაცია, შესაბამისი ნორმების და ქ. თბილისის მერიის მოთხოვნების დაცვით.

პროექტის მთ. კონსტრუქტორი  ე. წოწერია

თბილისი 2023

# მიწერილობა

## ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ს/კ 01.14.16.008.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია სნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობებისთვის) პ 1.19-ის მე-2 შენიშვნის და პ 1.22-ის, აგრეთვე პნ 02.01-08 (შენობა ნაგებობების ფუძეები) და სნ და წ 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები) მოთხოვნების და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ჩასატარებელი კვლევის მიზანი: სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა და დასაპროექტებელი კომპლექსის დაფუძნების პირობების გადაწყვეტა.

უშუალოდ ტერიტორიის ფარგლებში, წინა წლებში ჩატარებული კვლევის შესახებ ცნობილი არ არის. საერთოდ რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სხვადასხვა ობიექტებზე ჩატარებულია კვლევები, რომელთა მასალები დაცულია შპს „გეოინჟკომპლექსის“ არქივში და საჭიროებისას განხილული და გამოყენებული იქნეს დასკვნის შედგენისას.

დასახული მიზნების გადასაწყვეტად, ტერიტორიაზე დასაპროექტებელი შენობების კონტურების ფარგლებში გაყვანილი იქნეს 18 ჭაბურღილი, სიღრმით 9–11 მ-ის ფარგლებში.

ბურღვა ჩატარდეს მექანიკური-სვეტური მეთოდით, საბურღი დაზგით „უგბ-1ვს“, 160 მმ-მდე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების ლაბორატორიული შესწავლის მიზნით, აღებული იქნეს ნიმუშები სნ და წ 1.02.07-87-ის პ 3.75-ში რეგლამენტირებული რაოდენობით.

გრუნტის წყლის გამოვლინების შემთხვევაში აღებული იქნეს სინჯები არანაკლები სამისა, ქიმიური ანალიზის და რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიულობის ხარისხის განსასაზღვრავად.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შედგეს საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-9 დანართის რეკომენდაციების გათვალისწინებით და აიკინძოს 2 ეგზემპლარად. მომზადდეს კვლევის მასალების ელექტრონული ვერსია.

შპს „გეოინჟკომპლექსის“
მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

## ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ს/კ 01.14.16.008.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

შპს „არქტური ლისის" დირექტორი ლაშა გოგოლაძის დაკვეთით (დაკვ. №83/2023), შპს „გეოინჟკომპლექსის" მიერ, 2023 წლის ივლის-აგვისტოში, ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, (ს/კ 01.14.16.008.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა და დასაპროექტებელი შენობების დაფუძნების საკითხის გადაწყვეტა.

დასაპროექტებელი კომპლექსის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია გადმოცემულ ტექნიკურ დავალებაში (ერთვის დასკვნას).

უშუალოდ ტერიტორიაზე წინა წლებში ჩატარებული კვლევების შესახებ ცნობილი არ არის. მოცემულ რაიონში კი, აღნიშნული შპს „გეოინჟკომპლექსის" მიერ სხვადასხვა ობიექტებზე ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, რომელთა მასალები ინახება ადგილობრივ არქივში და გამოყენებულია წინამდებარე დასკვნის შედგენისას.

ზემოთ აღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ტექნიკური დავალების და მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ. 1.02.07-87, პნ 02.01-08) მოთხოვნების გათვალისწინებით, შედგენილი პროგრამის თანახმად, ტერიტორიაზე გაყვანილია 18 ჭაბურღილი (№№1÷18), სიღრმით: №1 – 10,0 მ. №№2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 13, 15, 16, 18 – 9,0 მ თითოეული, №17 – 11,0 მ და №№11 და 14 – 10,50 მ თითოეული, მთლიანი მოცულობით 168,0 გრძივი მეტრი.

ბურღვა ჩატარდა მექანიკური-სვეტური მეთოდით, საბურღი დაზგით „უგბ-1ვს", 160 მმ-მდე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების ლაბორატორიული შესწავლის მიზნით, ჭაბურღილებიდან აღებული იქნა დაურღვეველი სტრუქტურის 60 ნიმუში და გამოვლენილი მიწისქვეშა წყლის 5 სინჯი.

საველე სამუშაოები ჩატარდა წამყვანი ინჟინერ გეოლოგის. კ. სირაძის ხელმძღვანელობით.

გრუნტის ნიმუშების და წყლის სინჯების შესწავლა შესრულდა შპს „გეოინჟკომპლექსის" გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. შედეგები ერთვის დასკვნას.

პნ 01.05-08-ს (სამშენებლო კლიმატოლოგია") თანახმად, რაიონის ძირითადი კლიმატური მახასიათებლები უახლოესი მეტეოროლოგიური სადგურის საბურთალო მიხედვით შემდეგია:

– წლის საშუალო ტემპერატურა – +12,2°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი –23°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;

– ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 560 მმ;

– თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;

– თოვლის მუდმივი საფარის დღეთა რიცხვი – 14;

– ქარის წნევის ნორმატული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – $W_0$=0,85 კპა,

– ქარის უდიდესი სიჩქარე 20 წელიწადში ერთხელ – 37 მ/წმ;

– ქარის გაბატონებული მიმართულება – ჩრდილო-დასავლეთის;

– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია გადმოცემული ახლად გადაღებული ტოპოგეგმა, რომელზეც დატანილი იქნა ჭაბურღილების განლაგება და შესრულდა მათი გეგმურ-სიმაღლითი მიბმა ამ ტოპოგეგმის მიხედვით.

სამშენებლო ტერიტორია ისაზღვრება:

– ჩრდილოეთიდან – ბეტონის ღობით და საცხოვრებელი სახლებით;

– სამხრეთიდან – სამანქანო გზით;

– დანარჩენი მხრიდან – თავისუფალი ტერიტორიებით.

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე შედგენილია ჭაბურღილების სვეტების და ტერიტორიის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირიდან 0,8–3,0 მ-ის სიღრმემდე, გავრცელებულია ტექნოგენური (tQIV) გრუნტი – ნაყარი, წარმოდგენილი კენჭების, ღორღის, სამშენებლო ნაგვის და თიხოვანი გრუნტის ნარევით (ფენა 1).

ნაყარი გრუნტის ქვეშ, 0,8–3,0 მ-ის სიღრმიდან, გარდა ტერიტორიის უკიდურესი სამხრეთი ნაწილისა (ჭაბურღილების №№2, 3, 5, 9 რაიონი) 3,8–9,6 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია დელუვიური (dQIV) თიხოვანი გრუნტი, წარმოდგენილი მუქი ყავისფერი თიხებით. თიხები ზედა ნაწილში 0,5–1,6 მ-ის სიმძლავრის ფარგლებში, გრუნტის წყლების გამოვლენის სიახლოვეს რბილპლასტიკური კონსისტენციისაა და აღნიშნულია ფენა 2[1]-ით, ქვემოთ კი თიხების კონსისტენცია ძნელპლასტიკურია (ფენა 2).

თიხების ქვეშ 3,8–9,6 მ-ის სიღრმიდან, ხოლო აღნიშნული სამხრეთი ნაწილისა (№№2, 3, 5, 9 ჭაბურღილების რაიონი) ნაყარი გრუნტის ქვეშ 0,8–1,8 მ-ის სიღრმიდან, კვლევის სიღრმემდე 9,0–10,5 მ, გავრცელებულია ზედა ეოცენის ($P_2^3$) ძირითადი ქანები – თხელშრეებრივი არგილითების და ქვიშაქვების მორიგეობა.

ეროზიული ზედაპირიდან 0,4–3,5 მ-ის სიმძლავრის ფარლებში ძირითადი ქანები ძლიერ გამოფიტულია (ფენა 3), სიღრმეში გამოფიტულობა, მცირდება და ქანები ნაკლებად გამოფიტულია (ფენა 4).

ძირითად ქანებში ქვიშაქვებისა და არგილითების შემცველობა დაახლოებით თანაბარია. მისი წოლის ელემენტებია: დაქანების აზიმუტი ს.ა. 165°, დახრის კუთხე 20–25°.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ, ტერიტორია ხასიათდება გრუნტის წყლის არსებობით, რომელიც გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში, მიწის ზედაპირიდან 1,20–1,80 მ-ის სიღრმეებზე და დამყარდა იმავე დონეებზე.

გენეტიკურად გრუნტის წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციის შედეგს, რომლის ცირკულაცია დაკავშირებულია თიხოვან გრუნტებთან და ძირითადი ქანების ნაპრალებთან.

მიწისქვეშა წყლების დონეების მერყეობაზე რეჟიმული დაკვირვებები არ არსებობს. საპროგნოზო მაქსიმალურ დონეებად შეიძლება მიღებული იქნეს +0,5 მ, გამოვლენილ დონეებთან შედარებით.

როგორც აღინიშნა ზემოთ, ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების ლაბორატორიული შესწავლის მიზნით, ჭაბურღილებიდან აღებული იყო დაურღვეველი სტრუქტურის 60 ნიმუში, ხოლო გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის და ბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების განსასაზღვრავად აღებულია წყლის 5 სინჯი.

თიხოვანი გრუნტიდან აღებულია 29 ნიმუში. 22 ნიმუში ფენა 2-დან, 7 ნიმუში ფენა 2[1]-იდან. ძირითადი ქანებიდან აღებულია 31 ნიმუში, 15 ნიმუში ძლიერ გამოფიტულიდან (ფენა 3), ხოლო 16 ნიმუში ნაკლებად გამოფიტულიდან (ფენა 4).

თიხოვან გრუნტზე ლაბორატორიაში განისაზღვრა ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი, ძლიერ გამოფიტულ ძირითად ქანზე (ფენა 3) სიმკვრივე, ხოლო ნაკლებად გამოფიტულ ძირითად ქანზე (ფენა 4) სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში და სიმკვრივე.

ლაბორატორიული კვლევის შედეგები ერთვის დასკვნას კრებსითი ცხრილების სახით.

ქვემოთ, ცხრ. 1-ში მოცემულია თიხოვანი გრუნტების (ფენები 2 და 2ˡ) ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და გამოთვლილია საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები:

ცხრილი 1

| № | ფიზიკური მახასიათებლები | | | ბანზ. | მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი | | საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ფენა 2 | ფენა 2ˡ | ფენა 2 | ფენა 2ˡ |
| 1 | პლასტიკურობის რიცხვი | | $I_p$ | – | 0,18–0,23 | 0,18–0,21 | 0,20 | 0,20 |
| 2 | ტენიანობა | | W | % | 23,5–30,6 | 28,4–33,0 | 26,9 | 30,7 |
| 3 | სიმკვრივე | გრუნტის | ρ | გ/სმ³ | 1,82–1,96 | 1,88–1,95 | 1,89 | 1,91 |
| | | მშრალი გრუნტის | $\rho_d$ | | 1,42–1,58 | 1,42–1,50 | 1,49 | 1,46 |
| | | გრუნტის ნაწილაკების | $\rho_s$ | | 2,72–2,74 | 2,72–2,73 | 2,73 | 2,73 |
| 4 | ფორიანობა | | n | % | 42,0–48,1 | 44,8–47,9 | 45,3 | 46,3 |
| 5 | ფორიანობის კოეფიციენტი | | e | – | 0,723–0,926 | 0,810–0,921 | 0,829 | 0,864 |
| 6 | დენადობის მაჩვენებელი | | $I_L$ | – | 0,26–0,48 | 0,51–0,68 | 0,34 | 0,59 |
| 7 | ტენიანობის ხარისხი | | $S_r$ | – | 0,83–0,98 | 0,93–0,99 | 0,89 | 0,97 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული თიხოვანი გრუნტები მიეკუთვნებიან:

ფენა 2 – ძნელპლასტიკური კონსისტენციის, სრულად წყალგაჯერებულ თიხას;

ფენა 2ˡ – რბილპლასტიკური კონსისტენციის, სრულად წყალგაჯერებულ თიხას.

ცხრილში მოცემული საშუალო მნიშვნელობები, საჭიროებისას, გამოიყენება როგორც ნორმატიული – საანგარიშო.

როგორც აღინიშნა ძლიერ გამოფიტულ ძირითად ქანზე (ფენა 3) განისაზღვრა სიმკვრივე, ხოლო ნაკლებად გამოფიტულზე სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში და სიმკვრივე. სიმტკიცის განსაზღვრა შესრულდა „Controls“-ის ფირმის ხელსაწყოზე.

ქვემოთ, ცხრილ 2-ში მოცემულია ძირითადი ქანების (ფენები 3 და 4) გამოცდის შედეგები და გამოთვლილია საშუალო სიდიდეები.

ცხრილი 2

| № | გრუნტის დასახელება | ჭაბ. № | ნიმუშის აღების სიღრმე h მ | სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc მპა (კგძ/სმ²) | სიმკვრივე ρ გ/სმ³ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | არგილითი (ფენა 3) | ჭაბ.№1 | 8,5 | – | 2,03 |
| 2 | | ჭაბ.№2 | 2,5 | – | 2,00 |
| 3 | | ჭაბ.№2 | 4,0 | – | 2,02 |
| 4 | | ჭაბ.№3 | 3,0 | – | 2,00 |
| 5 | | ჭაბ.№3 | 5,0 | – | 2,06 |
| 6 | | ჭაბ.№4 | 5,5 | – | 2,06 |
| 7 | | ჭაბ.№5 | 3,5 | – | 2,01 |
| 8 | | ჭაბ.№6 | 5,0 | – | 2,07 |
| 9 | | ჭაბ.№8 | 7,0 | – | 2,10 |
| 10 | | ჭაბ.№9 | 3,5 | – | 2,00 |
| 11 | | ჭაბ.№10 | 6,5 | – | 2,10 |
| 12 | | ჭაბ.№12 | 5,5 | – | 2,06 |
| 13 | | ჭაბ.№13 | 7,5 | – | 2,12 |
| 14 | | ჭაბ.№16 | 5,0 | – | 2,08 |
| 15 | | ჭაბ.№17 | 7,5 | – | 2,11 |
| საშუალო მნიშვნელობა | | | | – | 2,05 |
| 16 | არგილითი (ფენა 4) | ჭაბ.№1 | 9,5 | 2,1(21) | 2,15 |
| 17 | | ჭაბ.№2 | 7,0 | 2,0(20) | 2,11 |
| 18 | | ჭაბ.№6 | 7,5 | 1,8(18) | 2,11 |
| 19 | | ჭაბ.№12 | 8,0 | 2,4(24) | 2,12 |
| 20 | | ჭაბ.№13 | 8,5 | 2,1(21) | 2,13 |
| 21 | | ჭაბ.№17 | 9,5 | 2,7(27) | 2,14 |
| 22 | | ჭაბ.№18 | 7,5 | 2,1(21) | 2,11 |
| საშუალო მნიშვნელობა | | | | 2,2(22) | 2,12 |
| 23 | ქვიშაქვა (ფენა 4) | ჭაბ.№2 | 5,5 | 6,0(60) | 2,36 |
| 24 | | ჭაბ.№3 | 7,0 | 5,6(56) | 2,37 |
| 25 | | ჭაბ.№4 | 4,0 | 5,8(58) | 2,40 |
| 26 | | ჭაბ.№5 | 6,0 | 4,8(48) | 2,39 |
| 27 | | ჭაბ.№7 | 8,5 | 6,0(60) | 2,43 |
| 28 | | ჭაბ.№8 | 8,5 | 5,2(52) | 2,41 |
| 29 | | ჭაბ.№9 | 7,0 | 5,1(51) | 2,36 |
| 30 | | ჭაბ.№10 | 8,5 | 5,8(58) | 2,40 |
| 31 | | ჭაბ.№16 | 7,5 | 5,5(55) | 2,37 |
| საშუალო მნიშვნელობა | | | | 5,5(55) | 2,39 |

ცხრილში მოცემული საშუალო მნიშვნელობების მიხედვით პნ 02.01-08-ის საკლასიფიკაციო ცხრილი 1-ის მიხედვით, ფენა 4-ის არგილითები მიეკუთვნება ნახევრადკლდოვან გრუნტს, სიმტკიცის ზღვრის მნიშვნელობით წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $\overline{R_c}$=2,2 მპა, $\overline{\rho}$=2,12 გ/სმ³; ქვიშაქვები – მცირე სიმტკიცის კლდოვან გრუნტს, სიმტკიცის ზღვრის მნიშვნელობით წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $\overline{R_c}$=5,5 მპა, $\overline{\rho}$=2,39 გ/სმ³.

როგორც ძირითადი ქანების (ფენა 4) მდგენელი ფენების სიმტკიცის ზღვრის საშუალო მნიშვნელობებიდან ჩანს, ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

საძირკვლის ანაგრიშებისთვის მისაღებია არა ცალკეული ფენების მნიშვნელობები, არამედ მთლიანი მასივის მნიშვნელობები. ამიტომ ფუძის ანგარიშებისთვის, რომლებიც დაეყრდნობა აღნიშნულ ძირითად ქანებს ვაერთიანებთ მათი ცალკეული ფენების მნიშვნელობებს მასივში მათი პროცენტული შემცველობის მიხედვით და ვღებულობთ შემდეგ მნიშვნელობებს:

$R_C=R_{C\ ქვ.ქვა}\times0,5+ R_{Cარგ}\times0,5=5,5\times0,5+2,2\times0,5=2,75+1,1=4,0$ მპა (40 კგძ/სმ$^2$);

$\rho=\rho_{ქვ.ქვა}\times0,5+\rho_{არგ.}\times0,5=2,39\times0,5+2,12\times0,5=1,2+1,06=2,26$ გ/სმ$^3$.

როგორც გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზების შედეგებიდან ჩანს, გამოკვლეული წყალი-გარემო:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონები მიმართ

ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

1. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) გამოყენებისას:

– სუსტად აგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით W4 მარკის ბეტონისადმი;

– არააგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით W6–W8 მარკის ბეტონებისადმი.

2. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით $C_3S<65\%$, $C_3A<7\%$, $C_3A+C_4AF<22\%$, წიდაპორტლანდცემენტის და სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით W4–W6–W8 მარკის ბეტონების მიმართ.

II. არმატურის მიმართ:

– არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;

– საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

# დასკვნა და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, გამოყოფილ ტერიტორიაზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ არის გავრცელებული. თუმცა მიწისქვეშა წყლების გავრცელების მაღალი დონეები არახელსაყრელი ფაქტორია ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით. ამასთან გეოლოგიური საშიშროების ზონირების რუკის მიხედვით ტერიტორია მოქცეულია საშუალო რისკის არეალში, თუმცა უშუალოდ სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორია ძირითადად სწორია, გეოლოგიური ჭრილების დახრის მიხედვით არ აღემატება 1°-სს, დანაწევრების ხარისხი უმნიშვნელოა, მიწისქვეშა წყლები არაღრმა გავრცელებისაა, დატბორვებს ადგილი არა აქვს, სტიქიური გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება და ტერიტორიის დაზიანების საშიშროება არ არის მოსალოდნელი.

   აღნიშნულთან დაკავშირებით ტერიტორია მდგრადობის რაიმე ღონისძიებების გატარებას არ საჭიროებს.

   საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ტერიტორია სნ და წ 1.02.07–87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

2. ტერიტორიის გეოლოგიურ ჭრილში, სამშენებლო თვისებების მიხედვით ნაყარი გრუნტის (ფენა1), ჩაუთვლელად გამოიყოფა ოთხი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (**სგე**):

   **I სგე** – თიხა რბილპლასტიკური კონსისტენციის (ფენა 2);

   **II სგე** – თიხა ძნელპლასტიკური კონსისტენციის (ფენა 2);

   **III სგე** – ძირითადი ქანები, ძლიერ გამოფიტული (ფენა 3);

   **IV სგე** – ძირითადი ქანები, ნაკლებად გამოფიტული (ფენა 4).

3. ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი შენობების ტექნიკური მახასიათებლიდან გამომდინარე, ფუძე-გრუნტად შეიძლება გამოყენებული იქნეს **II, III** და **IV სბე**-ის გრუნტები, თითოეული მათგანის კორპუსის უბანზე სრულად გავრცელების შემთხვევაში.

4. ფუძის ანგარიშებისათვის, ქვემოთ ცხრილ 3-ში მოცემულია ყველა **სბე**-ის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების, ნორმატიული დოკუმენტების, საარქივო მასალების და საცნობარო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე:

ცხრილი 3

| № | გრუნტების მახასიათებლები | საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **I სბე (ფენა 2)** | **II სბე (ფენა 2)** | **III სბე (ფენა 3)** | **IV სბე (ფენა 4)** |
| 1 | სიმკვრივე, ρ გ/სმ$^3$ | 1,91 | 1,89 | 2.05 | 2,26 |
| 2 | ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ$^2$) | 36(0,36) | 43(0,43) | – | – |
| 3 | შინაგანი ხახუნის კუთხე φ° | 12 | 16 | – | – |
| 4 | დეფორმაციის მოდული E მპა(კგძ/სმ$^2$) | 12(120) | 15(150) | 50(500) | – |
| 5 | პირობითი საანგარიშო წინაღობა, $R_0$ კპა(კგძ/სმ$^2$) | 150(1,5) | 200(2,0) | 500(5,0) | |
| 6 | სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_c$ კპა (კგძ/სმ$^2$) | – | – | – | 4000 (40) |
| 7 | საგების კოეფიციენტი k კგძ/სმ$^3$ | 1,5 | 2,5 | 20 | 60 |
| 8 | პუასონის კოეფიციენტი, μ | 0,42 | 0,42 | 0,25 | 0,25 |

5. გრუნტის წყლის აწევის მაქსიმალურ საპროგნოზო დონედ მიღებულ იქნეს +0,5 მ კვლევის დროს დაფიქსირებულ დამყარების დონედან.

6. მშენებლობის დროს ქვაბულის გათხრისას, უბანზე შესაძლებელია საჭირო გახდეს წყალქცევითი სამუშაოების ჩატარება. საორიენტაციოდ წყლის მოდენი ქვაბულის 1 მ$^2$-ზე მიღებული იქნეს 0,01 ლ/წმ-ში, რაც დაზუსტდეს მშენებლობის დროს.

7. მიწისქვეშა კონსტრუქციები დამზადდეს წყლის ქიმიური ანალიზის დასკვნაში მითითებული ცემენტების ბეტონით.

8. პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას.

ამავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი 1-ის თანახმად, ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები, სეისმური თვისებების მიხედვით, მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) და რბილპლასტიკური თიხა (ფენა 2ˡ) – III კატეგორიას;

ბ) დანარჩენი გრუნტები (ფენები 2, 3, 4) – II კატეგორიას.

ტერიტორიის საანგარიშო სეისმურობად მიღებულ იქნეს 8 ბალი.

სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი ქ. თბილისის ზონისთვის A=0,17.

9. ქვაბულის და თხრილების ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, ტერიტორიის ამგები გრუნტებისათვის, მიღებული იქნას სნ და წ 3.02.01–87 პ.პ. 3.11, 3.12, 3.15 და სნ და წ III–4–80 მე-9 თავის მიხედვით.

10. დამუშავების სიძნელის მიხედვით, ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები, სნ და წ IV–2–82 I–I ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი (ფენა 1) – სამივე სახეობით დამუშავებისას (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ³ (რიგ. №24ა);

ბ) თიხა ძნელპლასტიკური და რბილპლასტიკური კონსისტენციის (ფენები 2ˡ და 2) – სამივე სახეობით დამუშავებისას II ჯგუფს, სიმკვრივით ფენა 2ˡ – 1910 კგ/მ³; ფენა 2 – 1890 კგ/მ³ (რიგ. №8ა);

გ) ძირითადი ქანი, ძლიერ გამოფიტული (ფენა 3) – ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას – V ჯგუფს, ხელით დამუშავებისას – Vр ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2050 კგ/მ³ (რიგ. №3ა)

დ) ძირითადი ქანი, ნაკლებად გამოფიტული (ფენა 4) – ხელით დამუშავებისას – VI ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2260 კგ/მ³ (რიგ. №3ბ).

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი კ. სირაძე

შპს „გეოინჟკომპლექსის"
მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

| შპს „გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ | ბრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები | |
|---|---|---|

ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი. ლისის ტბის მიმდებარედ (ს.კ. 01.14.16.008.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი

| №№ | ბურღვილის ნომერი | ნიმუშის სიღრმე | ნიმუშის სტრუქტურა | ლაბ. № | პლასტიკურობა | | | ბუნებრივი ტენიანობა | სიმკვრივე | | | ფორიანობა | ფორიანობის კოეფ-ტი | | დენადობის მაჩვენებელი | ტენიანობის ხარისხი | წონასწორი შეკუმშვის მაჩვენებელი | ბრუნტის დასახელება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | დენადობის ზღვარი | პლასტიკურობის ზღვარი | რიცხვი | | ბრუნტის | მშრალი ბრუნტის | ბრუნტის ნაწილაკების | | საწყისი | დენადობის ზღვარზე | | | | |
| | | $h$ | | | $W_L$ | $W_p$ | $I_p$ | $W$ | $\rho$ | $\rho_d$ | $\rho_s$ | $n$ | $e$ | $e_L$ | $I_L$ | $S_r$ | $I_{ss}$ | |
| | | მ | | | - | - | - | % | გ/სმ$^3$ | | | % | - | - | - | - | - | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
| 1 | ჭაბ. №1 | 2,0 | მონ. | 833 | 0,41 | 0,20 | 0,21 | 32,6 | 1,90 | 1,43 | 2,73 | 47,5 | 0,905 | 1,119 | 0,60 | 0,98 | 0,11 | თიხა |
| 2 | | 4,5 | მონ. | 834 | 0,42 | 0,20 | 0,22 | 26,2 | 1,85 | 1,47 | 2,73 | 46,3 | 0,862 | 1,147 | 0,28 | 0,83 | 0,15 | თიხა |
| 3 | | 7,0 | მონ. | 835 | 0,44 | 0,22 | 0,22 | 29,0 | 1,88 | 1,46 | 2,74 | 46,8 | 0,880 | 1,206 | 0,32 | 0,90 | 0,17 | თიხა |
| 4 | | 8,5 | მონ. | 836 | | | | | 2,03 | | | | | | | | | არგილითი |
| 5 | | 9,5 | მონ. | 837 | | | | | 2,15 | | | | | | | | | არგილითი |
| 6 | ჭაბ. №2 | 2,5 | მონ. | 838 | | | | | 2,00 | | | | | | | | | არგილითი |
| 7 | | 4,0 | მონ. | 839 | | | | | 2,02 | | | | | | | | | არგილითი |
| 8 | | 5,5 | მონ. | 840 | | | | | 2,36 | | | | | | | | | ქვიშაქვა |
| 9 | | 7,0 | მონ. | 841 | | | | | 2,11 | | | | | | | | | არგილითი |
| 10 | ჭაბ. №3 | 3,0 | მონ. | 842 | | | | | 2,00 | | | | | | | | | არგილითი |
| 11 | | 5,0 | მონ. | 843 | | | | | 2,06 | | | | | | | | | არგილითი |
| 12 | | 7,0 | მონ. | 844 | | | | | 2,37 | | | | | | | | | ქვიშაქვა |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | ჭაბ. №4 | 2,0 | მონ. | 845 | 0,38 | 0,18 | 0,20 | 30,9 | 1,92 | 1,47 | 2,73 | 46,3 | 0,861 | 1,037 | 0,65 | 0,98 | 0,09 | თიხა |
| 14 | | 4,0 | მონ. | 846 | 0,41 | 0,21 | 0,20 | 26,3 | 1,90 | 1,50 | 2,73 | 44,9 | 0,815 | 1,119 | 0,27 | 0,88 | 0,17 | თიხა |
| 15 | | 5,5 | მონ. | 847 | | | | | 2,06 | | | | | | | | | არგილითი |
| 16 | | 4,0 | მონ. | 848 | | | | | 2,40 | | | | | | | | | ქვიშაქვა |
| 17 | ჭაბ. №5 | 3,5 | მონ. | 849 | | | | | 2,01 | | | | | | | | | არგილითი |
| 18 | | 6,0 | მონ. | 850 | | | | | 2,39 | | | | | | | | | ქვიშაქვა |
| 19 | ჭაბ. №6 | 3,5 | მონ. | 851 | 0,42 | 0,19 | 0,23 | 27,8 | 1,91 | 1,49 | 2,73 | 45,3 | 0,827 | 1,147 | 0,38 | 0,92 | 0,18 | თიხა |
| 20 | | 5,0 | მონ. | 852 | | | | | 2,07 | | | | | | | | | არგილითი |
| 21 | | 7,5 | მონ. | 853 | | | | | 2,11 | | | | | | | | | არგილითი |
| 22 | ჭაბ. №7 | 4,0 | მონ. | 854 | 0,45 | 0,22 | 0,23 | 27,9 | 1,90 | 1,49 | 2,74 | 45,8 | 0,844 | 1,233 | 0,26 | 0,91 | 0,21 | თიხა |
| 23 | | 6,0 | მონ. | 855 | 0,43 | 0,20 | 0,23 | 26,0 | 1,92 | 1,52 | 2,74 | 44,4 | 0,798 | 1,178 | 0,26 | 0,89 | 0,21 | თიხა |
| 24 | | 8,5 | მონ. | 856 | | | | | 2,43 | | | | | | | | | ქვიშაქვა |
| 25 | ჭაბ. №8 | 4,0 | მონ. | 857 | 0,39 | 0,20 | 0,19 | 25,5 | 1,88 | 1,50 | 2,72 | 44,9 | 0,816 | 1,061 | 0,29 | 0,85 | 0,13 | თიხა |
| 26 | | 7,0 | მონ. | 858 | | | | | 2,10 | | | | | | | | | არგილითი |
| 27 | | 8,5 | მონ. | 859 | | | | | 2,41 | | | | | | | | | ქვიშაქვა |
| 28 | ჭაბ. №9 | 3,5 | მონ. | 860 | | | | | 2,00 | | | | | | | | | არგილითი |
| 29 | | 7,0 | მონ. | 861 | | | | | 2,36 | | | | | | | | | ქვიშაქვა |
| 30 | ჭაბ. №10 | 2,5 | მონ. | 862 | 0,36 | 0,18 | 0,18 | 28,4 | 1,91 | 1,49 | 2,72 | 45,3 | 0,829 | 0,979 | 0,58 | 0,93 | 0,08 | თიხა |
| 31 | | 4,0 | მონ. | 863 | 0,42 | 0,19 | 0,23 | 26,2 | 1,85 | 1,47 | 2,73 | 46,3 | 0,862 | 1,147 | 0,31 | 0,83 | 0,15 | თიხა |
| 32 | | 5,5 | მონ. | 864 | 0,39 | 0,18 | 0,21 | 23,5 | 1,95 | 1,58 | 2,72 | 42,0 | 0,723 | 1,061 | 0,26 | 0,88 | 0,20 | თიხა |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 33 | ჭაბ. №10 | 6,5 | მ(ო)ნ. | 865 | | | | | 2,10 | | | | | | | | | არგილითი |
| 34 | | 8,5 | მ(ო)ნ. | 866 | | | | | 2,40 | | | | | | | | | ქვიშაქვა |
| 35 | ჭაბ. №11 | 2,5 | მ(ო)ნ. | 867 | 0,40 | 0,19 | 0,21 | 29,7 | 1,95 | 1,50 | 2,73 | 44,9 | 0,816 | 1,092 | 0,51 | 0,99 | 0,15 | თიხა |
| 36 | | 5,0 | მ(ო)ნ. | 868 | 0,36 | 0,18 | 0,18 | 25,1 | 1,90 | 1,52 | 2,72 | 44,2 | 0,791 | 0,979 | 0,39 | 0,86 | 0,11 | თიხა |
| 37 | | 7,5 | მ(ო)ნ. | 869 | 0,39 | 0,20 | 0,19 | 28,0 | 1,96 | 1,53 | 2,72 | 43,7 | 0,776 | 1,061 | 0,42 | 0,98 | 0,16 | თიხა |
| 38 | ჭაბ. №12 | 2,0 | მ(ო)ნ. | 870 | 0,41 | 0,21 | 0,20 | 28,4 | 1,82 | 1,42 | 2,73 | 48,1 | 0,926 | 1,119 | 0,37 | 0,84 | 0,10 | თიხა |
| 39 | | 4,0 | მ(ო)ნ. | 871 | 0,44 | 0,22 | 0,22 | 29,1 | 1,88 | 1,46 | 2,74 | 46,9 | 0,882 | 1,206 | 0,32 | 0,90 | 0,17 | თიხა |
| 40 | | 5,5 | მ(ო)ნ. | 872 | | | | | 2,06 | | | | | | | | | არგილითი |
| 41 | | 8,0 | მ(ო)ნ. | 873 | | | | | 2,12 | | | | | | | | | არგილითი |
| 42 | ჭაბ. №13 | 2,0 | მ(ო)ნ. | 874 | 0,40 | 0,20 | 0,20 | 31,3 | 1,88 | 1,43 | 2,73 | 47,6 | 0,907 | 1,092 | 0,57 | 0,94 | 0,10 | თიხა |
| 43 | | 4,0 | მ(ო)ნ. | 875 | 0,40 | 0,22 | 0,18 | 30,6 | 1,92 | 1,47 | 2,72 | 46,0 | 0,850 | 1,088 | 0,48 | 0,98 | 0,13 | თიხა |
| 44 | | 6,0 | მ(ო)ნ. | 876 | 0,42 | 0,22 | 0,20 | 30,2 | 1,93 | 1,48 | 2,72 | 45,5 | 0,835 | 1,142 | 0,41 | 0,98 | 0,17 | თიხა |
| 45 | | 7,5 | მ(ო)ნ. | 877 | | | | | 2,12 | | | | | | | | | არგილითი |
| 46 | | 8,5 | მ(ო)ნ. | 878 | | | | | 2,13 | | | | | | | | | არგილითი |
| 47 | ჭაბ. №14 | 2,5 | მ(ო)ნ. | 879 | 0,38 | 0,20 | 0,18 | 25,9 | 1,87 | 1,49 | 2,73 | 45,6 | 0,838 | 1,037 | 0,33 | 0,84 | 0,11 | თიხა |
| 48 | | 5,5 | მ(ო)ნ. | 880 | 0,39 | 0,19 | 0,20 | 26,0 | 1,89 | 1,50 | 2,72 | 44,9 | 0,813 | 1,061 | 0,35 | 0,87 | 0,14 | თიხა |
| 49 | | 7,5 | მ(ო)ნ. | 881 | 0,39 | 0,20 | 0,19 | 24,9 | 1,90 | 1,52 | 2,72 | 44,1 | 0,788 | 1,061 | 0,26 | 0,86 | 0,15 | თიხა |
| 50 | ჭაბ. №16 | 2,0 | მ(ო)ნ. | 882 | 0,39 | 0,20 | 0,19 | 33,0 | 1,89 | 1,42 | 2,73 | 47,9 | 0,921 | 1,065 | 0,68 | 0,98 | 0,07 | თიხა |
| 51 | | 4,0 | მ(ო)ნ. | 883 | 0,36 | 0,18 | 0,18 | 26,0 | 1,87 | 1,48 | 2,72 | 45,4 | 0,833 | 0,979 | 0,44 | 0,85 | 0,08 | თიხა |
| 52 | | 5,0 | მ(ო)ნ. | 884 | | | | | 2,08 | | | | | | | | | არგილითი |
| 53 | | 7,5 | მ(ო)ნ. | 885 | | | | | 2,37 | | | | | | | | | ქვიშაქვა |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 54 | ჭაბ. №17 | 4,0 | მოწ. | 886 | 0,37 | 0,18 | 0,19 | 26,6 | 1,89 | 1,49 | 2,72 | 45,1 | 0,822 | 1,006 | 0,45 | 0,88 | 0,10 | თიხა |
| 55 | | 6,0 | მოწ. | 887 | 0,39 | 0,19 | 0,20 | 24,4 | 1,90 | 1,53 | 2,73 | 44,1 | 0,787 | 1,065 | 0,27 | 0,85 | 0,16 | თიხა |
| 56 | | 7,5 | მოწ. | 888 | | | | | 2,11 | | | | | | | | | არგილითი |
| 57 | | 9,5 | მოწ. | 889 | | | | | 2,14 | | | | | | | | | არგილითი |
| 58 | ჭაბ. №18 | 2,0 | მოწ. | 890 | 0,37 | 0,19 | 0,18 | 29,1 | 1,94 | 1,50 | 2,72 | 44,8 | 0,810 | 1,006 | 0,56 | 0,98 | 0,11 | თიხა |
| 59 | | 3,5 | მოწ. | 891 | 0,39 | 0,21 | 0,18 | 28,0 | 1,87 | 1,46 | 2,72 | 46,3 | 0,862 | 1,061 | 0,39 | 0,88 | 0,11 | თიხა |
| 60 | | 7,5 | მოწ. | 892 | | | | | 2,11 | | | | | | | | | არგილითი |

გამოკვლევის დაწყება 14.07.2023
გამოკვლევის დამთავრება 07.08.2023

ინჟინერი მ. ჭარბაძე

წამყვანი ინჟინერ ჟიმიკოსი ნ. სურგულაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

| შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ | კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები | |
|---|---|---|

| ობიექტის დასახელება | ქ. თბილისი. ლისის ტბის მიმდებარედ (ს.კ. 01.14.16.008.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი |
|---|---|

| №№ | ბურღნამარხვარი | ალების სიღრმე | ბამოცდის ტიპი | ლაბ. № | სიმკვრივე | დიამეტრი | ფართობი | ექვივალენტური დიამეტრი | | მრღვევი ძალა | სიმტკიცის ინდექსი | კორექტირების კოეფ-ტი | კორექტირებული სიმტკიცის ინდექსი | კოეფ-ტი | სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე (წყალგაჯ.) | სიმკვრივე | ბრუნტის დასახელება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | $h$ | | | $W$ | $D$ | $A$ | $D_e^2$ | $D_e$ | $P$ | $I_s$ | $F$ | $I_{s(50)}$ | $C$ | $Rc\ (\delta_{uc})$ | $\rho$ | |
| | | მ | | | მმ | მმ | მმ$^2$ | მმ$^2$ | მმ | კნ | მპა | - | მპა | - | მპა | გ/სმ$^3$ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| 1 | ჭაბ. №1 | 8,5 | d -არასწორი ფორმის | 836 | | | | | | | | | | | | 2,03 | არგილითი |
| 2 | | 9,5 | d -არასწორი ფორმის | 837 | 42,8 | 32,2 | 1378,2 | 1754,7 | 41,89 | 0,188 | 0,11 | 0,92 | 0,10 | 21,0 | 2,1 | 2,15 | არგილითი |
| 3 | ჭაბ. №2 | 2,5 | d -არასწორი ფორმის | 838 | | | | | | | | | | | | 2,00 | არგილითი |
| 4 | | 4,0 | d -არასწორი ფორმის | 839 | | | | | | | | | | | | 2,02 | არგილითი |
| 5 | | 5,5 | d -არასწორი ფორმის | 840 | 77,6 | 42,9 | 3329,0 | 4238,7 | 65,11 | 0,921 | 0,22 | 1,13 | 0,24 | 24,5 | 6,0 | 2,36 | ქვიშაქვა |
| 6 | | 7,0 | d -არასწორი ფორმის | 841 | 62,6 | 30,5 | 1909,3 | 2431,0 | 49,31 | 0,215 | 0,09 | 0,99 | 0,09 | 23,0 | 2,0 | 2,11 | არგილითი |
| 7 | ჭაბ. №3 | 3,0 | d -არასწორი ფორმის | 842 | | | | | | | | | | | | 2,00 | არგილითი |
| 8 | | 5,0 | d -არასწორი ფორმის | 843 | | | | | | | | | | | | 2,06 | არგილითი |
| 9 | | 7,0 | d -არასწორი ფორმის | 844 | 70,7 | 38,1 | 2693,7 | 3429,7 | 58,56 | 0,735 | 0,21 | 1,07 | 0,23 | 24,5 | 5,6 | 2,37 | ქვიშაქვა |

Ცხრ. №2 ფ.2

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | ჭაბ. №4 | 5,5 | d -არასწორი ფორმის | 847 | | | | | | | | | | | | 2,06 | არგილითი |
| 11 | | 4,0 | d -არასწორი ფორმის | 848 | 80,8 | 60,3 | 4872,2 | 6203,5 | 78,76 | 1,200 | 0,19 | 1,23 | 0,24 | 24,5 | 5,8 | 2,40 | ქვიშაქვა |
| 12 | ჭაბ. №5 | 3,5 | d -არასწორი ფორმის | 849 | | | | | | | | | | | | 2,01 | არგილითი |
| 13 | | 6,0 | d -არასწორი ფორმის | 850 | 81,6 | 50,0 | 4080,0 | 5194,8 | 72,08 | 0,872 | 0,17 | 1,18 | 0,20 | 24,5 | 4,8 | 2,39 | ქვიშაქვა |
| 14 | ჭაბ. №6 | 5,0 | d -არასწორი ფორმის | 852 | | | | | | | | | | | | 2,07 | არგილითი |
| 15 | | 7,5 | d -არასწორი ფორმის | 853 | 50,3 | 32,6 | 1639,8 | 2087,8 | 45,69 | 0,180 | 0,09 | 0,96 | 0,08 | 22,0 | 1,8 | 2,11 | არგილითი |
| 16 | ჭაბ. №7 | 8,5 | d -არასწორი ფორმის | 856 | 70,9 | 42,8 | 3034,5 | 3863,7 | 62,16 | 0,861 | 0,22 | 1,10 | 0,25 | 24,5 | 6,0 | 2,43 | ქვიშაქვა |
| 17 | ჭაბ. №8 | 7,0 | d -არასწორი ფორმის | 858 | | | | | | | | | | | | 2,10 | არგილითი |
| 18 | | 8,5 | d -არასწორი ფორმის | 859 | 81,0 | 40,3 | 3264,3 | 4156,2 | 64,47 | 0,781 | 0,19 | 1,12 | 0,21 | 24,5 | 5,2 | 2,41 | ქვიშაქვა |
| 19 | ჭაბ. №9 | 3,5 | d -არასწორი ფორმის | 860 | | | | | | | | | | | | 2,00 | არგილითი |
| 20 | | 7,0 | d -არასწორი ფორმის | 861 | 69,9 | 46,6 | 3257,3 | 4147,4 | 64,40 | 0,770 | 0,19 | 1,12 | 0,21 | 24,5 | 5,1 | 2,36 | ქვიშაქვა |
| 21 | ჭაბ. №10 | 6,5 | d -არასწორი ფორმის | 865 | | | | | | | | | | | | 2,10 | არგილითი |
| 22 | | 8,5 | d -არასწორი ფორმის | 866 | 68,0 | 45,3 | 3080,4 | 3922,1 | 62,63 | 0,843 | 0,21 | 1,11 | 0,24 | 24,5 | 5,8 | 2,40 | ქვიშაქვა |
| 23 | ჭაბ. №12 | 5,5 | d -არასწორი ფორმის | 872 | | | | | | | | | | | | 2,06 | არგილითი |
| 24 | | 8,0 | d -არასწორი ფორმის | 873 | 62,0 | 32,7 | 2027,4 | 2581,4 | 50,81 | 0,271 | 0,10 | 1,01 | 0,11 | 23,0 | 2,4 | 2,12 | არგილითი |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 25 | ჭაბ. №13 | 7,5 | d -არასწორი ფორმის | 877 | | | | | | | | | | | | 2,12 | არგილითი |
| 26 | | 8,5 | d -არასწორი ფორმის | 878 | 70,0 | 40,8 | 2856,0 | 3636,4 | 60,30 | 0,290 | 0,08 | 1,09 | 0,09 | 24,5 | 2,1 | 2,13 | არგილითი |
| 27 | ჭაბ. №16 | 5,0 | d -არასწორი ფორმის | 884 | | | | | | | | | | | | 2,08 | არგილითი |
| 28 | | 7,5 | d -არასწორი ფორმის | 885 | 76,7 | 39,6 | 3037,3 | 3867,2 | 62,19 | 0,789 | 0,20 | 1,10 | 0,23 | 24,5 | 5,5 | 2,37 | ქვიშაქვა |
| 29 | ჭაბ. №17 | 7,5 | d -არასწორი ფორმის | 888 | | | | | | | | | | | | 2,11 | არგილითი |
| 30 | | 9,5 | d -არასწორი ფორმის | 889 | 60,2 | 32,3 | 1944,5 | 2475,8 | 49,76 | 0,291 | 0,12 | 1,00 | 0,12 | 23,0 | 2,7 | 2,14 | არგილითი |
| 31 | ჭაბ. №18 | 7,5 | d -არასწორი ფორმის | 892 | 59,9 | 38,9 | 2330,1 | 2966,8 | 54,47 | 0,251 | 0,08 | 1,04 | 0,09 | 24,0 | 2,1 | 2,11 | არგილითი |

ინჟინერი მ. ჭარბაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

| შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ | წყლის ქიმიური ანალიზის შ ე დ ე გ ე ბ ი | |
|---|---|---|

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
ქ. თბილისი. ლისის ტბის მიმდებარედ (ს.კ. 01.14.16.008.073)
მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი

| წყალჯუნქტის დასახელება | ჭაბ. № 1 | სინჯის აღების თარიღი: 14. 07 2023 წ. |
|---|---|---|
| სინჯის აღების სიღრმე | h = 1.6 მ | |

ლაბ. № 200

სიხისტე

| დასახელება | გერმანული ბრადუსი | მგ/ექვ |
|---|---|---|
| საერთო | 113,0 | 40,3 |
| კარბონატული | 22,4 | 8,0 |
| არაკარბონატ. | 90,6 | 32,3 |
| მინერალიზაცია | | |
| საერთო მინერალიზაცია | მგ/ლ | 2986,03 |
| ნახშირორჟანგი $CO_2$ | | |
| თავისუფალი $CO_2$ | მგ/ლ | 66,00 |

წყლის მარილოვანი შემადგენლობა
(კურლოვის ფორმულა)

$$M_{3.0}\frac{SO^4_{69}\ HCO^3_{17}\ Cl_{14}}{Ca_{78}\ Na_{15}}$$

ქიმიური შემადგენლობა

| წყალბადიონის მაჩვენებელი | pH | 8.2 |
|---|---|---|

| | იონები | | მგ/ლ | მგ/ექვ | მგ/ექვ,% |
|---|---|---|---|---|---|
| ანიონები | ქლორი | $Cl^-$ | 238,81 | 6,73 | 14,23 |
| | სულფატი | $SO_4^{2-}$ | 1563,30 | 32,55 | 68,85 |
| | ჰიდროკარბონატი | $HCO_3^-$ | 488,00 | 8,00 | 16,92 |
| | კარბონატი | $CO_3^{2-}$ | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| | ჯამი | | 2290,11 | 47,27 | 100,00 |
| კათიონები | ნატრიუმი კალიუმი | $Na^+ + K^+$ | 159,48 | 6,93 | 14,67 |
| | კალციუმი | $Ca^{2+}$ | 736,89 | 36,77 | 77,78 |
| | მაგნიუმი | $Mg^{2+}$ | 43,55 | 3,57 | 7,55 |
| | ჯამი | | 939,92 | 47,27 | 100,00 |

წამყვანი ინჟინერ ქიმიკოსი ნ. სურბულაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

| | | |
|---|---|---|
| შპს<br>„გეოინჟკომპლექსი“<br>გეოტექნიკური ლაბორატორია<br>თბილისი. შარტავას ქ. №43დ | წყლის ქიმიური ანალიზის<br><br>შ ე დ ე გ ე ბ ი | |

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
ქ. თბილისი. ლისის ტბის მიმდებარედ (ს.კ. 01.14.16.008.073)
მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი

| | | | |
|---|---|---|---|
| წყალჭაბურღილის დასახელება | ჭაბ. № 6 | სინჯის აღების თარიღი: | 15. 07. 2023 წ. |
| სინჯის აღების სიღრმე | h = 1.8 მ | | |

ლაბ. № 201

სიხისტე

| დასახელება | გერმანული ბრადუსი | მგ/ექვ |
|---|---|---|
| საერთო | 115,0 | 41,1 |
| კარბონატული | 22,4 | 8,0 |
| არაკარბონატ. | 92,6 | 33,1 |
| მინერალიზაცია | | |
| საერთო მინერალიზაცია | მგ/ლ | 2829,31 |
| ნახშირორჟანგი $CO_2$ | | |
| თავისუფალი $CO_2$ | მგ/ლ | 66,00 |

წყლის მარილოვანი შემადგენლობა
(კურლოვის ფორმულა)

$$M_{2.8}\ \frac{SO^4_{70}\ HCO^3_{17}\ Cl_{13}}{Ca_{81}\ Na_{11}}$$

ქიმიური შემადგენლობა

| წყალბადიონის მაჩვენებელი | pH | 8.2 |
|---|---|---|

| | იონები | | მგ/ლ | მგ/ექვ | მგ/ექვ,% |
|---|---|---|---|---|---|
| ანიონები | ქლორი | $Cl^-$ | 204,69 | 5,77 | 12,52 |
| | სულფატი | $SO_4^{2-}$ | 1550,20 | 32,28 | 70,10 |
| | ჰიდროკარბონატი | $HCO_3^-$ | 488,00 | 8,00 | 17,38 |
| | კარბონატი | $CO_3^{2-}$ | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| | ჯამი | | 2242,89 | 46,04 | 100,00 |
| კათიონები | ნატრიუმი კალიუმი | $Na^+ + K^+$ | 114,68 | 4,99 | 10,83 |
| | კალციუმი | $Ca^{2+}$ | 744,05 | 37,13 | 80,64 |
| | მაგნიუმი | $Mg^{2+}$ | 47,91 | 3,93 | 8,53 |
| | ჯამი | | 906,64 | 46,04 | 100,00 |

წამყვანი ინჟინერ ქიმიკოსი ნ. სურბულაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

| | | |
|---|---|---|
| შპს<br>„გეოინჟკომპლექსი“<br>გეოტექნიკური ლაბორატორია<br>თბილისი. შარტავას ქ. №43დ | წყლის ქიმიური ანალიზის<br><br>შ ე დ ე გ ე ბ ი | |

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
ქ. თბილისი. ლისის ტბის მიმდებარედ (ს.კ. 01.14.16.008.073)
მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი

| | | | |
|---|---|---|---|
| წყალჭაბურღილის დასახელება | ჭაბ. № 10 | სინჯის აღების თარიღი: | 18. 07. 2023 წ. |
| სინჯის აღების სიღრმე | h = 1.5 მ | | |

ლაბ. № 202

სიხისტე

| დასახელება | გერმანული ბრადუსი | მგ/ექვ |
|---|---|---|
| საერთო | 115,0 | 41,1 |
| კარბონატული | 22,4 | 8,0 |
| არაკარბონატ. | 92,6 | 33,1 |
| მინერალიზაცია | | |
| საერთო მინერალიზაცია | მგ/ლ | 2905,53 |
| ნახშირორჟანგი $CO_2$ | | |
| თავისუფალი $CO_2$ | მგ/ლ | 66,00 |

წყლის მარილოვანი შემადგენლობა
(კურლოვის ფორმულა)

$$M_{2.9}\frac{SO^4_{70}\ HCO^3_{17}\ Cl_{13}}{Ca_{81}\ Na_{11}}$$

ქიმიური შემადგენლობა

| | | |
|---|---|---|
| წყალბადიონის მაჩვენებელი | pH | 8.2 |

| | იონები | | მგ/ლ | მგ/ექვ | მგ/ექვ,% |
|---|---|---|---|---|---|
| ანიონები | ქლორი | $Cl^-$ | 204,69 | 5,77 | 12,52 |
| | სულფატი | $SO_4^{2-}$ | 1550,20 | 32,28 | 70,10 |
| | ჰიდროკარბონატი | $HCO_3^-$ | 488,00 | 8,00 | 17,38 |
| | კარბონატი | $CO_3^{2-}$ | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| | ჯამი | | 2242,89 | 46,04 | 100,00 |
| კათიონები | ნატრიუმი კალიუმი | $Na^+ + K^+$ | 114,68 | 4,99 | 10,83 |
| | კალციუმი | $Ca^{2+}$ | 744,05 | 37,13 | 80,64 |
| | მაგნიუმი | $Mg^{2+}$ | 47,91 | 3,93 | 8,53 |
| | ჯამი | | 906,64 | 46,04 | 100,00 |

წამყვანი ინჟინერ ქიმიკოსი ნ. სურბულაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

| | | |
|---|---|---|
| შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ | წყლის ქიმიური ანალიზის შ ე დ ე გ ე ბ ი | |

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
ქ. თბილისი. ლისის ტბის მიმდებარედ (ს.კ. 01.14.16.008.073)
მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი

| | | | |
|---|---|---|---|
| წყალჯუნჭტის დასახელება | ჭაბ. № 12 | სინჯის აღების თარიღი: | 18. 07. 2023 წ. |
| სინჯის აღების სიღრმე | h = 1.8 მ | | |

ლაბ. № 203

სიხისტე

| დასახელება | გერმანული ბრადუსი | მგ/ექვ |
|---|---|---|
| საერთო | 114,0 | 40,7 |
| კარბონატული | 19,6 | 7,0 |
| არაკარბონატ. | 94,4 | 33,7 |
| მინერალიზაცია | | |
| საერთო მინერალიზაცია | მგ/ლ | 2976,46 |
| ნახშირორჟანგი $CO_2$ | | |
| თავისუფალი $CO_2$ | მგ/ლ | 88,00 |

წყლის მარილოვანი შემადგენლობა
(კურლოვის ფორმულა)

$$M_{3.0}\frac{HCO^3_{71}\ SO^4_{15}\ Cl_{14}}{Ca_{78}\ Na_{13}}$$

ქიმიური შემადგენლობა

| წყალბადიონის მაჩვენებელი | pH | 8.2 |
|---|---|---|

| | იონები | | მგ/ლ | მგ/ექვ | მგ/ექვ,% |
|---|---|---|---|---|---|
| ანიონები | ქლორი | $Cl^-$ | 238,81 | 6,73 | 14,32 |
| | სულფატი | $SO_4^{2-}$ | 1597,50 | 33,26 | 70,79 |
| | ჰიდროკარბონატი | $HCO_3^-$ | 427,00 | 7,00 | 14,90 |
| | კარბონატი | $CO_3^{2-}$ | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| | ჯამი | | 2263,31 | 46,99 | 100,00 |
| კათიონები | ნატრიუმი კალიუმი | $Na^+ + K^+$ | 144,65 | 6,29 | 13,38 |
| | კალციუმი | $Ca^{2+}$ | 729,74 | 36,41 | 77,50 |
| | მაგნიუმი | $Mg^{2+}$ | 52,26 | 4,28 | 9,12 |
| | ჯამი | | 926,65 | 46,99 | 100,00 |

წამყვანი ინჟინერ ქიმიკოსი ნ. სურბულაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

| | | |
|---|---|---|
| შპს<br>„გეოინჟკომპლექსი“<br>გეოტექნიკური ლაბორატორია<br>თბილისი. შარტავას ქ. №43დ | წყლის ქიმიური ანალიზის<br><br>შ ე დ ე გ ე ბ ი | |

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
ქ. თბილისი. ლისის ტბის მიმდებარედ (ს.კ. 01.14.16.008.073)
მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი

| | | | |
|---|---|---|---|
| წყალჭაბურღილის დასახელება | ჭაბ. № 17 | სინჯის აღების თარიღი: | 20. 07. 2023 წ. |
| სინჯის აღების სიღრმე | h = 1.5 მ | | |

ლაბ. № 204

სიხისტე

| დასახელება | გერმანული ბრადუსი | მგ/ექვ |
|---|---|---|
| საერთო | 115,0 | 41,1 |
| კარბონატული | 19,6 | 7,0 |
| არაკარბონატ. | 95,4 | 34,1 |
| მინერალიზაცია | | |
| საერთო მინერალიზაცია | მგ/ლ | 2898,50 |
| ნახშირორჟანგი $CO_2$ | | |
| თავისუფალი $CO_2$ | მგ/ლ | 66,00 |

წყლის მარილოვანი შემადგენლობა
(კურლოვის ფორმულა)

$$M_{2.9}\ \frac{SO^4_{70}\ HCO^3_{15}\ Cl_{15}}{Ca_{80}\ Na_{11}}$$

ქიმიური შემადგენლობა

| წყალბადიონის მაჩვენებელი | pH | 8.2 |
|---|---|---|

| | იონები | | მგ/ლ | მგ/ექვ | მგ/ექვ,% |
|---|---|---|---|---|---|
| ანიონები | ქლორი | $Cl^-$ | 238,81 | 6,73 | 14,65 |
| | სულფატი | $SO_4^{2-}$ | 1545,50 | 32,18 | 70,10 |
| | ჰიდროკარბონატი | $HCO_3^-$ | 427,00 | 7,00 | 15,25 |
| | კარბონატი | $CO_3^{2-}$ | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| | ჯამი | | 2211,31 | 45,90 | 100,00 |
| კათიონები | ნატრიუმი კალიუმი | $Na^+ + K^+$ | 111,53 | 4,85 | 10,56 |
| | კალციუმი | $Ca^{2+}$ | 736,89 | 36,77 | 80,10 |
| | მაგნიუმი | $Mg^{2+}$ | 52,26 | 4,28 | 9,33 |
| | ჯამი | | 900,69 | 45,90 | 100,00 |

წამყვანი ინჟინერ ქიმიკოსი ნ. სურბულაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

# დ ა ს კ ვ ნ ა

წყლის სტანდარტული ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით

ლაბ. №№200-204

ჰიდროგეოლოგიური პირობები: წყალშემცავი ფენა №1-6-10-12-17 ჭაბურღილების უბნებზე $h_1$=1.6 მ, $h_6$=1.8 მ, $h_{10}$=1.5 მ, $h_{12}$=1.8 მ და $h_{17}$=1.5 მ სიღრმეებზე წარმოდგენილია თიხოვანი გრუნტებით.

ფილტრაციის კოეფიციენტი $K_ფ$<0,1 მ/დღ

საპროექტო კონსტრუქციის მოკლე დახასიათება:

დასაპროექტებელი კონსტრუქცია რკინა - ბეტონის საძირკველი.

გამოკვლეული წყალი - გარემო:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონების მიმართ ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

1. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) გამოყენებისას
   - სუსტად აგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით $W_4$ მარკის ბეტონისადმი;
   - არააგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით $W_6$-$W_8$ მარკის ბეტონებისადმი.

2. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით $C_3S$<65%, $C_3A$<7%, $C_3A + C_4AF$<22%, წიდაპორტლანდცემენტის და სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას

   - არააგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით $W_4$-$W_6$-$W_8$ მარკის ბეტონებისადმი.

II. არმატურის მიმართ:
   - არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;
   - საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.


ს ნ და წ 2.03. 11. 85
„სამშენებლო ნაგებობათა დაცვა კოროზიისაგან”
(ცხ. №№5, 6, 7)

ანალიზი ჩაატარა ნ. სურგულაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

01.08.2023

# მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული ასომვითი ნახაზი




შენიშვნა: ტოპოგრაფიულ ნახაზზე ზღვისპირა ნაგებობები დატანილია რეგისტრირებული მონაცემებიდან

ტოპოგრაფიულ ნახაზზე შენობები დატანილია რეგისტრირებული გეგმის მიხედვით

## ფურცელი №1

| პირობითი აღნიშვნები | შენიშვნა: მიწის სამუშაოები შეათანხმეთ შესაბამის კომუნიკაციის წარმომადგენლებთან | | | | პროექცია UTM 38N<br>საკოორდინატო სისტემა WGS 84 |
|---|---|---|---|---|---|
| მიწისქვეშა კომუნიკაციები | ნაკვეთის საზღვარი | ბუჩქი | ცოცხალი ღობე | ღობე | |
| კანალიზაცია | შენობა | გაზონი | ხეების რიგი | ბორდიური | |
| დენის კაბელი | არკა | სამეთვალყურეო ჭები | ტრანსფორმატორი | ბეტონი | |
| გაზის მილი | ფარდული | ძეგლი | რადიო ან ტელე ანძა | კედელი | |
| წყლის მილი | კიბე | შადრევანი | ლამპიონები | საყრდენი კედელი | |
| კავშირგაბმულობა | ფოთლოვანი ხე | ონკანი | ელექტრო ბოძი | ბილიკი | |
| | წიწვოვანი ხე | წყარო ან ჭა | რკინიგზა | გზის კონტური | |
| | ხეხილის ხე | ბენზინგასამართი სადგური | იზოჰიფსი | ფლატე | |
| | პალმა | მაღალი ძაბვის გადამცემი | მთავარი იზოჰიფსი | წყლის კონტური | |



ი/მ „ზვიადი წიკლაური„ ს/ნ 01027016042

თბილისი, აწყურის ქუჩა №30

მობ: +995 514-44-11-41

zviadiw@gmail.com


| | | |
|---|---|---|
| ავტორი | | ზ. წიკლაური |
| კომპ. უზრუნველყოფა | | ზ. წიკლაური |
| დამკვეთი | | |
| მისამართი | ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ ს/კ. 01.14.16.008.073 | |
| მასშტაბი 1:500 | | 30.05.2022 |




შენიშვნა: ტოპოგრაფიულ ნახაზზე ხაზოვანი ნაგებობები დატანილია რეგისტრირებული მონაცემებიდან
ტოპოგრაფიულ ნახაზზე შენობები დატანილია რეგისტრირებული გეგმის მიხედვით

# ფურცელი №1'

| პირობითი აღნიშვნები | შენიშვნა: მიწის სამუშაოები შეათანხმეთ შესაბამის კომუნიკაციის წარმომადგენლებთან | | | პროექცია UTM 38N<br>საკოორდინატო სისტემა WGS 84 |
|---|---|---|---|---|
| მიწისქვეშა კომუნიკაციები | ნაკვეთის საზღვარი | ბუჩქი | ცოცხალი ღობე | ღობე |
| კანალიზაცია | შენობა | გაზონი | ხეების რიგი | ბორდიური |
| დენის კაბელი | არკა | სამეთვალყურეო ჭები | ტრანსფორმატორი | ბეტონი |
| | ფარდული | ძეგლი | რადიო ან ტელე ანძა | კედელი |
| გაზის მილი | კიბე | შადრევანი | ლამპიონები | საყრდენი კედელი |
| | ფოთლოვანი ხე | ონკანი | ელექტრო ბოძი | ბილიკი |
| წყლის მილი | წიწვოვანი ხე | წყარო ან ჭა | რკინიგზა | გზის კონტური |
| | ხეხილის ხე | ბენზინგასამართი სადგური | იზოჰიფსი | ფლატე |
| კავშირგაბმულობა | პალმა | მაღალი ძაბვის გადამცემი | მთავარი იზოჰიფსი | წყლის კონტური |

ი/მ „ზვიადი წიკლაური„ ს/ნ 01027016042
თბილისი,
აწყურის ქუჩა №30
მობ: +995 514-44-11-41
zviadiw@gmail.com

| | | |
|---|---|---|
| აზომა | | ზ. წიკლაური |
| კომპ. უზრუნველყოფა | | ზ. წიკლაური |
| დამკვეთი | | |
| მისამართი | ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ ს/კ. 01.14.16.008.073 | |
| მასშტაბი 1:500 | | 30.05.2022 |

## ჭაბ. №1

| რიგითი №№ | ფენის სიღრმე დან | ფენის სიღრმე მდე | ფენის სიმძლავრე | მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 627.50 | ჭრილი მ-ბი 1:100 | კონსისტენცია (ტენიანობა) | დაწყების და დამთავრების თარიღი | გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ. | გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი დამყ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 0.00 | 1.70 | 1.70 | 625.80 | 1 | | *14.07 - 14.07.2023* | 1.60 / 625.90 | 1.60 / 625.90 |
| 2 | 1.70 | 3.00 | 1.30 | 624.50 | 2' | რბილ-პლასტიკური | | | |
| 3 | 3.00 | 7.80 | 4.80 | 619.70 | 2 | ძნელ-პლასტიკური | | | |
| 4 | 7.80 | 9.00 | 1.20 | 618.50 | 3 | | | | |
| 5 | 9.00 | 10.00 | 1.00 | 617.50 | 4 | | | | |

## ჭაბ. №2

| რიგითი №№ | ფენის სიღრმე დან | ფენის სიღრმე მდე | ფენის სიმძლავრე | მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 627.10 | ჭრილი მ-ბი 1:100 | კონსისტენცია (ტენიანობა) | დაწყების და დამთავრების თარიღი | გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ. | გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი დამყ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 0.00 | 1.00 | 1.00 | 626.10 | 1 | | *14.07 - 14.07.2023* | 1.70 / 625.40 | 1.70 / 625.40 |
| 2 | 1.00 | 4.50 | 3.50 | 622.60 | 3 | | | | |
| 3 | 4.50 | 9.00 | 4.50 | 618.10 | 4 | | | | |

## ჭაბ. №3

| რიგითი №№ | ფენის სიღრმე დან | ფენის სიღრმე მდე | ფენის სიმძლავრე | მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 627.30 | ჭრილი მ-ბი 1:100 | კონსისტენცია (ტენიანობა) | დაწყების და დამთავრების თარიღი | გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ. | გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი დამყ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 0.00 | 1.80 | 1.80 | 625.500 | 1 | | *14.07 - 14.07.2023* | 1.70 / 625.60 | 1.70 / 625.60 |
| 2 | 1.80 | 5.30 | 3.50 | 621.30 | 3 | | | | |
| 3 | 5.30 | 9.00 | 3.70 | 618.30 | 4 | | | | |

## ჭაბ. №4

| რიგითი №№ | ფენის სიღრმე დან | ფენის სიღრმე მდე | ფენის სიმძლავრე | მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 627.00 | ჭრილი მ-ბი 1:100 | კონსისტენცია (ტენიანობა) | დაწყების და დამთავრების თარიღი | გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ. | გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი დამყ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 0.00 | 1.80 | 1.80 | 625.20 | 1 | | *15.07 - 15.07.2023* | 1.60 / 625.40 | 1.60 / 625.40 |
| 2 | 1.80 | 2.80 | 1.00 | 624.20 | 2' | რბილ-პლასტიკური | | | |
| 3 | 2.80 | 4.80 | 2.00 | 622.20 | 2 | ძნელ-პლასტიკური | | | |
| 4 | 4.80 | 7.00 | 2.20 | 620.00 | 3 | | | | |
| 5 | 7.00 | 9.00 | 2.00 | 618.00 | 4 | | | | |

## ჭაბ. №5

| რიგითი №№ | ფენის სიღრმე დან | ფენის სიღრმე მდე | ფენის სიმძლავრე | მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 627.50 | ჭრილი მ-ბი 1:100 | კონსისტენცია (ტენიანობა) | დაწყების და დამთავრების თარიღი | გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ. | გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი დამყ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 0.00 | 1.30 | 1.30 | 626.20 | 1 | | *15.07 - 15.07.2023* | 1.60 / 625.90 | 1.60 / 625.90 |
| 2 | 1.30 | 4.30 | 3.00 | 623.20 | 3 | | | | |
| 3 | 4.30 | 9.00 | 4.70 | 618.50 | 4 | | | | |

## პ ი რ ო ბ ი თ ი  ა ღ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

- $tQ_{IV}$ (1) — ნაყარი - კენჭების, ღორღის, სამშენებლო ნაგვის და თიხოვანი გრუნტის ნარევი
- $dQ_{IV}$ (2) — თიხა მუქი ყავისფერი, ძნელპლასტიკური კონსისტენციის
- $dQ_{IV}$ (2') — თიხა მუქი ყავისფერი, რბილპლასტიკური კონსისტენციის
- $\text{₽}_2^3$ (3) — ძირითადი ქანი - თხელშრეებრივი არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული
- $\text{₽}_2^3$ (4) — ძირითადი ქანი - თხელშრეებრივი არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, გამოფიტული
- ■ — გრუნტის ნიმუშის აღების ადგილი

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| დირექტორი | ზ. კვაჭანტირაძე | |
| მთ.გეოლოგი | ა. პასიკაშვილი | |
| ინჟ.გეოლოგი | კ. სირაძე | |
| ინჟ.გეოლოგი | ნ. შერვაშიძე | |

ქ. თბილისი
ლისის ტბის მიმდებარედ
(ს/კ 01.14.16.008.073)
მრავალბინიანი
საცხოვრებელი
კომპლექსი

ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები

შპს „გეოინჟკომპლექსი“
ქ. თბილისი. ქ. შარტავას ქ. №43დ
e-mail: geo.logi@yahoo.com
ტელ: (032) 2 37 62 55

*დაკვ. №83/2023*

ფურცელი 2 | ფურცლები 16

## ჭაბ. №6

| რიგითი №№ | ფენის სიღრმე დან | ფენის სიღრმე მდე | ფენის სიმძლავრე | მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 627.50 | ჭრილი მ-ბი 1:100 | კონსისტენცია (ტენიანობა) | დაწყების და დამთავრების თარიღი | გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ. | დამყ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 0.00 | 2.00 | 2.00 | 623.70 | 1 | | 15.07 - 15.07.2023 | 1.80 / 623.90 | 1.80 / 623.90 |
| 2 | 2.00 | 2.50 | 0.50 | 623.20 | 2' | რბილ-პლასტიკური | | | |
| 2 | 2.00 | 4.30 | 2.30 | 621.40 | 2 | ძნელ-პლასტიკური | | | |
| 3 | 4.30 | 6.50 | 2.20 | 619.20 | 3 | | | | |
| 4 | 6.50 | 9.00 | 2.50 | 616.70 | 4 | | | | |

## ჭაბ. №7

| რიგითი №№ | ფენის სიღრმე დან | ფენის სიღრმე მდე | ფენის სიმძლავრე | მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 627.20 | ჭრილი მ-ბი 1:100 | კონსისტენცია (ტენიანობა) | დაწყების და დამთავრების თარიღი | გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ. | დამყ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 0.00 | 1.80 | 1.80 | 625.40 | 1 | | 17.07 - 17.07.2023 | 1.50 / 625.70 | 1.50 / 625.70 |
| 2 | 1.80 | 2.80 | 1.00 | 624.40 | 2' | რბილ-პლასტიკური | | | |
| 3 | 2.80 | 6.80 | 4.00 | 620.40 | 2 | ძნელ-პლასტიკური | | | |
| 3 | 6.80 | 8.00 | 1.20 | 619.20 | 3 | | | | |
| 4 | 8.00 | 9.00 | 1.00 | 618.20 | 4 | | | | |

## ჭაბ. №8

| რიგითი №№ | ფენის სიღრმე დან | ფენის სიღრმე მდე | ფენის სიმძლავრე | მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 628.10 | ჭრილი მ-ბი 1:100 | კონსისტენცია (ტენიანობა) | დაწყების და დამთავრების თარიღი | გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ. | დამყ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 0.00 | 1.80 | 1.80 | 626.30 | 1 | | 17.07 - 17.07.2023 | 1.60 / 626.50 | 1.60 / 626.50 |
| 2 | 1.80 | 2.90 | 1.10 | 625.20 | 2' | | | | |
| 3 | 2.90 | 6.00 | 3.10 | 622.10 | 2 | ძნელ-პლასტიკური | | | |
| 4 | 6.00 | 8.00 | 2.00 | 620.10 | 3 | | | | |
| 5 | 8.00 | 9.00 | 1.00 | 619.10 | 4 | | | | |

## ჭაბ. №9

